მაია ინასარიძე

ქართული ენისა და ლიტერატურის ექსპერტ-კონსულტანტი სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

განახლებული საგნობრივი პროგრამა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მასწავლებლებს. რა შეიცვალა საგნის სწავლების ძირითად ნორმატიულ დოკუმენტში და რითია ეს ცვლილებები გამოწვეული? რა ცვლილებები შედის მოსწავლეთა შეფასების სისტემაში? როგორ განვახორციელოთ ეს ცვლილებები საკლასო ოთახში? - ეს ის შეკითხვებია, რომლებზე პასუხებიც მასწავლებლებმა ერთად უნდა ეძიონ. სწორედ ამ საკითხების გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს ქართული ენისა და ლიტერატურაში.

მასტერკლასზე მასწავლებლები იმსჯელებენ:

- ახალი საგნობრივი პროგრამის განხორციელების შესაძლო გზებზე
- გაეცნობიან კომპლექსური დავალებების სახეებს
- სწავლებისა და განმავითარებელი შეფასების თანამედროვე სტრატეგიებს („დისნეის სამი სკამი“, „სასწავლო გაჩერებები“, „ფილმი შთაგონება“, „შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები“, „გაგება-გააზრების სწრაფი შეფასება“ და სხვა)
- თავად მიიღებენ მონაწილეობას ამ სტრატეგიების იმიტირებაში, რათა ორი პოზიციიდან - მასწავლებლის და მოსწავლის - შეაფასონ მათი ეფექტიანობა.

მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი: საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პრაქტიკოსი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლები.

მასტერ კლასის ხანგრძლივობა: 4-საათი.